5.3.2 „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს აუდიტის საგანთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა;

5.3.3 უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ არ უზრუნველყოფს მისთვის აუდიტის ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენას;

5.3.4 მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება;

5.3.5 „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა;

5.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.4.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

5.4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტური სტანდარტები და ხელშეკრულებით დადგენილი პირობები;

5.4.3 „შემსყიდველს“ აცნობოს აუდიტური შემოწმებისას გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შესახებ;

5.4.4 საიდუმლოდ შეინახოს აუდიტური შემოწმებისას (მომსახურების გაწევისას) მიღებული ყველა სახის ინფორმაცია.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება „მიმწოდებლის“ მიერ აუდიტური დასკვნისა და ანგარიშის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ეძლევა ამ ხელშეკრულების ხელის მომწერ პირებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 „მიმწოდებლის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე “შემსყიდველის” მხრიდან კონტროლს განახორციელებს №82 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია.

8. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

„მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ იგი უზრუნველყოფს მომსახურების მაღალხარისხოვნად გაწევას და რომ მისი ქმედებით ზარალი არ მიადგება „შემსყიდველს“.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდე არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის;

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს;

10.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარმოუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი

п. 3+5 гол.